TDI

რელიგიის თავისუფლების, თანასწორობის და სეკულარობის კუთხით არსებული გარემო

2025 წლის აპრილი

რელიგიის თავისუფლების, თანასწორობის და სეკულარობის კუთხით არსებული გარემო

2025 წლის აპრილი

მომზადებულია ტოლერანტობის და მრავალფეროვნების ინსტიტუტის მიერ (TDI)
www.tdi.ge

ტოლერანტობის და მრავალფეროვნების ინსტიტუტი (TDI) აგრძელებს დაკვირვებას რელიგიისა და რწმენის თავისუფლების, თანასწორობისა და სეკულარობის კუთხით არსებულ გარემოზე. მონიტორინგი მოიცავს საჯარო უწყებების, პოლიტიკური პარტიების, პოლიტიკოსების, საჯარო პირების, სასულიერო პირებისა და რელიგიური ინსტიტუტების განცხადებებსა და აქტივობებს.

წინამდებარე მიმოხილვა ასახავს 2025 წლის **აპრილის პერიოდს.**

ასევე შეგიძლიათ, იხილოთ რელიგიის თავისუფლების, თანასწორობისა და სეკულარობის კუთხით მონიტორინგის **2024 წლის ანგარიშები:**

წინაასარჩევნო პერიოდი:
25 აგვისტოდან 25 სექტემბრამდე
25 სექტემბრიდან 25 ოქტომბრამდე

არჩევნების შემდგომ პერიოდში:
26 ოქტომბრიდან 26 ნოემბრამდე
26 ნოემბრიდან 26 დეკემბრამდე

2025 წლის ანგარიშები:
26 დეკემბერი, 2024 - 2025 წლის 31 იანვარი
თებერვალი
მარტი

ფოტო გარეკანზე: გიორგი მოსიაშვილი (მოსე)

სარჩევი

მთავარი ტენდენციები 4

1. „ქართული ოცნების“ მიერ რელიგიითა და იდენტობით პოლიტიკური მანიპულაცია 5

1.1. „ქართული ოცნების“ ფსევდორელიგიური ნარატივი ქრისტიანობის დაცვასთან დაკავშირებით 6

1.2. ანტიდასავლური, პროპაგანდისტული გზავნილები 7

1.2.1. 9 აპრილი - საქართველოს ისტორიის გადაწერის მცდელობა, პოლიტიკური მანიპულაცია და ანტიდასავლური განცხადებები 9

1.2.2. ვიზალიბერალიზაცია 11

1.2.3. არასამთავრობო სექტორის დაფინანსება 12

2. მართლმადიდებელი სასულიერო პირების ძალადობის დამგმობი და დემონსტრანტების მხარდამჭერი განცხადებები 14

2.1. 9 აპრილი: „ვინც მტერს სახელს არ არქმევს, მტერზე უარესია!“ 14

2.2. გამოხმაურება გიორგი ანწუხელიძის გმირობის დაკნინების მცდელობაზე 16

3. მართლმადიდებელი სასულიერო პირების ნაწილის პროპაგანდისტული, ანტიდასავლური განცხადებები 18

მთავარი ტენდენციები

საანგარიშო პერიოდში „ქართული ოცნება“ კვლავინდებურად მანიპულირებდა ფსევდორელიგიური ნარატივებით და თავს წარმოაჩენდა ქრისტიანობისა და ტრადიციების მცველ პოლიტიკურ ძალად. ამ კონტექსტში, ოპონენტები, უფლებადამცველები, მედია და სამოქალაქო აქტივისტები „ანტიეროვნული”, „ანტიეკლესიური“, „უსამშობლო“, „ლიბერალი ფაშისტები“ არიან.

მთავარი თემები, რომლებზეც „ქართული ოცნება“ ანტიდასავლურ პროპაგანდას აგებდა, უკავშირდებოდა 9 აპრილის აღნიშვნას, ვიზალიბერალიზაციის გაუქმების პოტენციურ საფრთხეს და საერთაშორისო ორგანიზაციებისა და დონორების მიერ არასამთავრობო ორგანიზაციების დაფინანსებას. ამავე პერიოდში, „ქართულმა ოცნებამ“ დაჩქარებული წესით მიიღო ანტიკონსტიტუციური და არადემოკრატიული ცვლილებები „გრანტების შესახებ“ საქართველოს კანონში. ამ ცვლილებით, არასამთავრობო ორგანიზაციებისა და მედიისათვის, „ქართული ოცნების“ მთავრობის ნებართვის გარეშე, უცხოური გრანტების გაცემა აიკრძალა.

საანგარიშო პერიოდში, კიდევ უფრო გაძლიერდა ანტიდასავლური ნარატივი, რომ *„გლობალური იდეოლოგია“, „უცხო ძალა“ „გლობალური ომის პარტია“, „დიპ სტეიტი“ და „ლიბერალური ფაშიზმი“,* საქართველოში სუვერენიტეტს, მართლმადიდებლობას და ოჯახურ ღირებულებებს ებრძვიან. ყველა ამ ტერმინში მოიაზრება ევროკავშირი და ის დასავლური სახელმწიფოები, რომლებიც „ქართული ოცნების“ ხელისუფლებას ადამიანის უფლებების სისტემური და უხეში დარღვევისთვის აკრიტიკებენ.

მაგალითად, „ქართული ოცნების“ ხელისუფლებისა და მისი საპარლამენტო სატელიტების მხრიდან ისმოდა გზავნილები, რომ *„სარწმუნოების დროშის“ შეცვლა დღეს, „ასე მზაკვრულად და ვერაგულად, ცხვრის ქურქით შემოპარულმა უცხო მენტალობამ განიზრახა“*, და *„სუვერენიტეტს საქართველოში ევროკავშირის ბიუროკრატია ებრძვის დეზინფორმაციით და ტრადიციების გაუქმებით.“*

ანტიდასავლურ გზავნილებთან ერთად, „ქართულმა ოცნებამ“ ასევე გააგრძელა კრემლის აგრესიისა და ოკუპაციის ნიველირება და ისტორიის გადაწერის მცდელობა. მაგალითად, 1989 წლის 9 აპრილის დანაშაულებრივ ქმედებებზე პასუხისმგებელი საბჭოთა ჯარები არ უხსენებია და საბჭოთა საოკუპაციო რეჟიმის მიერ მშვიდობიანი დემონსტრანტების წინააღმდეგ სისხლიან ანგარიშსწორებას, რასაც 21 ადამიანის სიცოცხლე შეეწირა, „**უცხო ძალის**“ მიერ ჩადენილი ქმედება, ხოლო დაღუპულებს „**ტრაგიკულად გარდაცვლილი ადამიანები**“ უწოდა.

დადებითი ტენდენცია საანგარიშო პერიოდშიც შენარჩუნდა და საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის სასულიერო პირების ნაწილი კვლავინდებურად კრიტიკულად ეხმაურებოდა „ქართული ოცნების“ ანტიევროპულ კურსსა და პროპაგანდისტულ განცხადებებს, მათ შორის, ისტორიის გადაწერის მცდელობასა და კრემლის აგრესიის ნიველირებას.

1. „ქართული ოცნების“ მიერ რელიგიითა და იდენტობით პოლიტიკური მანიპულაცია

საანგარიშო პერიოდში, „ქართული ოცნება“ კვლავინდებურად მანიპულირებდა ფსევდორელიგიური ნარატივებით და თავს წარმოაჩენდა ქრისტიანობისა და ტრადიციების მცველ პოლიტიკურ ძალად. ამ კონტექსტში, „ქართული ოცნების“ განცხადებებით, „უცხო ძალა“, „გლობალური ომის პარტია“, „დიპ სტეიტი“ და „ლიბერალური ფაშიზმი“ საქართველოში „უპირისპირდება ქრისტიანობას“ და „ეროვნულ ტრადიციებს“, საზოგადოებას თავს ახვევს „ანტიქრისტიანულ“ და „ანტიეროვნულ“ პოლიტიკას. ასევე, „ქართული ოცნების“ ლიდერები დასავლეთს და ევროკავშირს საბჭოთა კავშირთან აიგივებენ, საქართველოს წარმოაჩენენ იზოლაციურ კონტექსტში, სადაც ეროვნული და საქართველოს პარტნიორი ქვეყნების ინტერესები ერთმანეთს არ ემთხვევა.

საანგარიშო პერიოდში მთავარი თემები, რომლებზეც „ქართული ოცნება“ ანტიდასავლურ პროპაგანდას აგებდა, უკავშირდებოდა 9 აპრილის აღნიშვნას, ვიზალიბერალიზაციის გაუქმების პოტენციურ საფრთხეს და საერთაშორისო ორგანიზაციებისა და დონორების მიერ არასამთავრობო ორგანიზაციების დაფინანსებას.

„ქართულმა ოცნებამ“ ასევე გააგრძელა კრემლის აგრესიისა და ოკუპაციის ნიველირება და ისტორიის გადაწერის მცდელობა. მაგალითად, 9 აპრილის საჯარო განცხადებებიდან ყველაზე ნიშანდობლივი იყო, რომ „ქართული ოცნების“ ხელისუფლების წარმომადგენლებმა 1989 წლის 9 აპრილის დანაშაულებრივ ქმედებებზე პასუხისმგებელი „საბჭოთა ჯარები“ არ ახსენეს და საბჭოთა საოკუპაციო რეჟიმის მიერ მშვიდობიანი დემონსტრანტების წინააღმდეგ სისხლიან ანგარიშსწორებას, რასაც 21 ადამიანის სიცოცხლე შეეწირა და უამრავი დაშავდა, „**უცხო ძალის**“ მიერ ჩადენილი ქმედება უწოდეს.

საანგარიშო პერიოდში, პარტია „ქართულმა ოცნებამ“ დაჩქარებული წესით მიიღო ანტიკონსტიტუციური და არადემოკრატიული ცვლილებები „გრანტების შესახებ“

საქართველოს კანონში. ამ ცვლილებით არასამთავრობო ორგანიზაციებისა და მედიისათვის „ქართული ოცნების“ მთავრობის ნებართვის გარეშე უცხოური გრანტების გაცემა აიკრძალა. აღნიშნული ცვლილებები არასამთავრობო ორგანიზაციების და კრიტიკული მედიის წინააღმდეგ მიღებულ კანონთა პაკეტის ნაწილია, რისი პოლიტიკური მიზანიც, დამოუკიდებელი და კრიტიკული სამოქალაქო ორგანიზაციების და საზოგადოების უკიდურესი შეზღუდვაა.

1.1. „ქართული ოცნების“ ფსევდორელიგიური ნარატივი ქრისტიანობის დაცვასთან დაკავშირებით

„ქართული ოცნება“ კვლავინდებურად მანიპულირებს ფსევდორელიგიური ნარატივებით და თავს წარმოაჩენს, როგორც პოლიტიკურ ძალას, რომელიც იცავს სარწმუნოებას, ეკლესიას, „ტრადიციულ ფასეულობებსა“ და სახელმწიფოს სუვერენიტეტს, მაშინ როდესაც ოპონენტების დასასჯელად იღებს რეპრესიულ, ანტიდემოკრატიულ კანონებს და მშვიდობიან საპროტესტო აქციებს ძალადობრივი და უკანონო მეთოდებით ახშობს. მათ ნარატივში, ერთ მხარეს დგას „ქართული ოცნება“, რომელიც იცავს სარწმუნოებას და ეროვნულ იდენტობას, მეორე მხარეს კი მათი ოპონენტები, არასამთავრობო ორგანიზაციები, კრიტიკული მედია და პოლიტიკური ოპოზიცია, ვინც მათი თქმით, ებრძვის ქართულ ტრადიციებს, რელიგიას, საპტრიარქოს, პატრიარქსა და ეროვნულობას. ასევე დასავლურ სტრუქტურებში ინტეგრაცია განხილულია ეროვნულობის, იდენტობისა და სუვერენიტეტის საპირწონედ.

> „ქართული ოცნების” პოლიტსაბჭო, 21 აპრილი: *იმედს ვიტოვებთ, რომ ამ დროისთვის, ბრიუსელის დღევანდელი ბიუროკრატიაც ღირსეული, დამოუკიდებელი და ევროკავშირისა და ევროპის მომავალზე ორიენტირებული პოლიტიკური ელიტით ჩანაცვლდება. საქართველო დღეს არის დამოუკიდებელი და სუვერენული, როგორც არასდროს. ხელისუფლებას ველარავინ კარნახობს და აიძულებს ისეთი ნაბიჯების გადადგმას, რომელიც ჩვენი ქვეყნის ინტერესების წინააღმდეგ იქნება მიმართული. „ქართული ოცნების“ ხელისუფლება მოქმედებს საქართველოს ეროვნული ინტერესების კარნახით და ამ ინტერესების ხარჯზე კომპრომისს არასოდეს დაუშვებს,* ***მომავალშიც განუხრელად დაიცავს სამშობლოს, ეკლესიას და ეროვნულ ფასეულობებს!“***

> მამუკა მდინარაძე, „ქართული ოცნების“ საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერი, ფრაქცია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარე, 2 აპრილი: *„მთავარი იდეა არის ქვეყნის მეტი დამოუკიდებლობა იმისათვის, რომ თავიც გადავირჩინოთ [...] რაც მთავარია შევინარჩუნოთ ჩვენი იდენტობა, ჩვენი კულტურა და არ დაემუქროს არანაირი*

საფრთხე ***არც მამულს, არც ენას და არც სარწმუნოებას.*** *განვვითარდეთ, წარსულს პატივი ვცეთ და მომავალზე ვიზრუნოთ ღირსეულად".*

ლევან მაჭავარიანი, საპარლამენტო უმრავლესობის წევრი, 15 აპრილი: *„…[ახალგაზრდებო] როცა საარჩევნო უბნებზე მიხვალთ, კარგად გაიაზრეთ, რა მოჰყვება თქვენს მიერ გადადგმულ ნაბიჯს და თქვენს მიერ მიცემულ ხმას. გამოდით შემდეგი პრინციპიდან, რომ ხმა მისცეთ ქვეყნის დამოუკიდებლობას, სუვერენიტეტს და მშვიდობას!* ***ხმა უნდა მისცეთ იდენტობის გაძლიერებას! ხმა უნდა მისცეთ მამულს, ენას და სარწმუნოებას".***

ლევან მაჭავარიანი, საპარლამენტო უმრავლესობის წევრი, 28 აპრილი: *„გამოვდივართ ჩვენი ქვეყნის ეროვნული ინტერესებიდან, ვიცავთ მშვიდობას, სტაბილურობას […] ძალიან დიდი ალბათობით ხუთ წელიწადში ჩვენ გადავალთ მაღალ შემოსავლიანი ქვეყნების რანგში. აი, ასე ვვითარდებით ჩვენ და მეორე მხარეს არის ერთად შეკრებილი ნინო ლომჯარია, კაპიტანი გიგაური, ბაია პატარაია, ანა სუბელიანი, რომლებიც, სხვათა შორის გამოირჩევიან ეს ადამიანები, ამათი „ბაბლი"* ***პატრიარქის შეურაცხყოფით*** *და შემდეგ უკვე გვევლინებიან აღდგომას სანთლებით ხელში, თითქოს გალობენ და ასე შემდეგ".*

1.2. ანტიდასავლური, პროპაგანდისტული გზავნილები

„ქართული ოცნების" ერთ-ერთი მთავარი ნარატივია, რომ არსებობს „გლობალური იდეოლოგია", რომელიც საქართველოში სუვერენიტეტს, მართლმადიდებლობას და ოჯახურ ღირებულებებს ებრძვის. ამ პროპაგანდისთვის კვლავინდებურად იყენებენ სხვადასხვა ტერმინს: *„უცხო ძალა", „გლობალური ომის პარტია", „დიპ სტეიტი" „ლიბერალური ფაშიზმი", „გლობალისტური იდეოლოგია".* სინამდვილეში, ეს ნარატივი ეფუძნება შეთქმულების თეორიას, რომელიც თავის მხრივ, ეყრდნობა ანტილიბერალური და ანტიდემოკრატიული სამყაროს რუსულ პარადიგმას. წინა პლანზე წამოწეულია ბრალდებები, რომ აღნიშნული ძალების მიზანი საქართველოს ომში ჩართვა, პოლიტიკური რევოლუციის მოწყობა, ტრადიციების და ღირებულებების განადგურებაა. „ქართული ოცნება" კი, ამ ძალებთან დაპირისპირებაში, სარწმუნოებისა და ეროვნულობის მცველია.

„ქართული ოცნების" განცხადებებით, „უცხო ძალა", „გლობალური ომის პარტია", „დიპ სტეიტი" და „ლიბერალური ფაშიზმი" საქართველოში „უპირისპირდება ქრისტიანობას" და „ეროვნულ ტრადიციებს", საზოგადოებას თავს ახვევს „ანტიქრისტიანულ" და „ანტიეროვნულ" პოლიტიკას. ასევე, „ქართული ოცნების" ლიდერები დასავლეთს და ევროკავშირს საბჭოთა კავშირთან აიგივებენ, საქართველოს წარმოაჩენენ იზოლაციურ

კონტექსტში, სადაც ეროვნული და საქართველოს პარტნიორი ქვეყნების ინტერესები ერთმანეთს არ ემთხვევა.

შალვა პაპუაშვილი, „ქართული ოცნების“ პარლამენტის თავმჯდომარე, 14 აპრილი: *„სამწუხაროა, დღევანდელ დღეს, თუნდაც ადამიანთა მცირეოდენი ჯგუფის ხილვა, რომლებიც ხელოვნურად თავსმოხვეული* ***გლობალისტური იდეოლოგიის*** *გავლენით სამშობლოს ინტერესს უცხოურ გავლენაზე ცვლიან, ქართულ ენას მეორეხარისხოვნად მიიჩნევენ და* ***სარწმუნოებას აბიაბრუებენ****.*
უფროსმა თაობებმა საბჭოთა, ათეისტურ, უფლებააყრილ ქვეყანაში სათუთად გამოატარეს ენის, მამულისა და სარწმუნოების დროშა, რომლის შეცვლაც დღეს, ასე მზაკვრულად და ვერაგულად, ***ცხვრის ქურქით შემოპარულმა უცხო მენტალობამ განიზრახა“.***

სოზარ სუბარი, „ქართული ოცნების“ პარლამენტის ვიცე-სპიკერი, „ხალხის ძალის“ თავმჯდომარე, საპარლამენტო საგამოძიებო კომისიის წევრი, 17 აპრილი: *„ევროკავშირის დღევანდელი ხელმძღვანელობა არის ერთ-ერთი წყარო და ლობისტი იმ ულტრალიბერალური სიგიჟეების, რომელიც ფუნდამენტშივე უპირისპირდება* ***ქრისტიანობას და სხვა ტრადიციულ რელიგიებს, უპირისპირდება ეროვნულ ტრადიციებსა და სახელმწიფოებს და გიგანტური ტრანსნაციონალური კომპანიების იარაღად არის გადაქცეული.*** *თუ ევროპა დაკარგავს თავის ღირებულებებს და იტყვის, რომ ევროკავშირში გაწევრიანება ლგბტ დიქტატურას ნიშნავს, მაშინ ქართველმა ხალხმა თავად უნდა აირჩიოს -* ***უნდა თუ არა ასეთი ევროპა“.***

ზურაბ ქადაგიძე, „ქართული ოცნების“ სატელიტი პარტია „ხალხის ძალის“ წევრი, 10 აპრილი: *„მე ვარ ქართველი და მაშასადამე, მე ვარ ქართველი! მე მაქვს სამშობლო - თქვენ გაქვთ, ფედერაცია! მე ვარ ერი - სახელმწიფო - თქვენ ხართ სოროსის სინდიკატი! მე მაქვს მამული, ენა, სარწმუნოება - თქვენ „დიფ სთეითი“ და ლიბერალური ფაშიზმი!“*

გურამ მაჭარაშვილი, „ქართული ოცნების“ პარლამენტის წევრი, „ხალხის ძალა“, 9 აპრილი: *„თუ საბჭოთა კავშირის დროს სუვერენიტეტს საბჭოთა ხელისუფლება საბჭოთა ჯარებით ებრძოდა,* ***დღეს სუვერენიტეტს საქართველოში ევროკავშირის ბიუროკრატია ებრძვის დეზინფორმაციით და ტრადიციების გაუქმებით.“***

1.2.1. 9 აპრილი - საქართველოს ისტორიის გადაწერის მცდელობა, პოლიტიკური მანიპულაცია და ანტიდასავლური განცხადებები

2025 წლის 9 აპრილს თბილისში 36 წლის წინ საბჭოთა ძალების მიერ მოკლულ მომიტინგეებს პატივი მიაგეს.[1] პოლიტიკური პატიმრების ოჯახის წევრების ორგანიზებით, მემორიალთან 24-საათიანი საპროტესტო აქცია გაიმართა[2]. დემონსტრანტების თქმით, აქციის ერთ-ერთი მიზანი 9 აპრილის მემორიალის „ქართული ოცნების" რუსული რეჟიმისგან ფიზიკურად დაცვა იყო. „ქართულმა ოცნებამ" სამოქალაქო აქცია პროვოკაციად და დაპირისპირების მცდელობად შეაფასა.

„ქართული ოცნების" ლიდერების 9 აპრილის საჯარო განცხადებებიდან ყველაზე ნიშანდობლივი იყო, რომ ხელისუფლების წარმომადგენლებმა 1989 წლის 9 აპრილის დანაშაულებრივ ქმედებებზე პასუხისმგებელი **„საბჭოთა ჯარები" არ ახსენეს** და საბჭოთა საოკუპაციო რეჟიმის მიერ მშვიდობიანი დემონსტრანტების წინააღმდეგ სისხლიან ანგარიშსწორებას, რასაც 21 ადამიანის სიცოცხლე შეეწირა, **„უცხო ძალის" მიერ ჩადენილი ქმედება** უწოდეს.

მაგალითად, „ქართული ოცნების" პრემიერ-მინისტრის, ირაკლი კობახიძის განცხადებაში რამდენჯერმე ფიგურირებდა ტერმინი „უცხო ძალა", მაგრამ არც ერთხელ რუსეთი ან საბჭოთა კავშირი: *„9 აპრილი არის დღე, როდესაც **უცხოურმა ძალამ** განახორციელა ძალადობა ჩვენი თანამოქალაქეების წინააღმდეგ".* ამასთან, ირაკლი კობახიძემ 2025 წლის 9 აპრილის ანტისახელისუფლებო და პროდასავლური აქცია 1989 წლის 9 აპრილის მოვლენებს შეადარა და ორივე შემთხვევაში, მოძალადედ **„უცხოური ძალა"** დაასახელა: *„დღეს, 9 აპრილის ტრაგედიიდან 36 წლის თავზე, კვლავაც **უცხოური ძალა** ძალადობს რუსთაველის გამზირზე. დღესაც, რუსთაველის გამზირზე უცხოური ძალა აღვივებს სიძულვილს, ცდილობს ხელოვნურად დაარღვიოს ერთიანობა ქართველებს შორის და ებრძვის თავისუფლების იდეას. თუმცა, 9 აპრილის გამოცდილებამ გვასწავლა, რომ უცხოური ძალის „არსება მოკლეა" და სიძულვილსა და მონობაზე აუცილებლად სიყვარული და თავისუფლება გაიმარჯვებს. დღეს,*

---

[1] 1989 წლის 9 აპრილს, საბჭოთა საოკუპაციო ჯარებმა თბილისში დაარბიეს საქართველოს დამოუკიდებლობის მოთხოვნით გამართული მშვიდობიანი დემონსტრაცია და 21 მშვიდობიანი მოქალაქე მოკლეს; დარბევისას, გაუშვეს დაუდგენელი სახის გაზი, რის შედეგადაც ათასობით მოქალაქე მოიწამლა. აღსანიშნავია, რომ მაშინდელი საბჭოთა პროპაგანდისტული პრესა თავად მომიტინგეებს აბრალებდა მოქალაქეების სიკვდილს, მშვიდობიან დემონსტრანტებს კი „რადიკალებს" უწოდებდა. 1991 წელს, იმავე დღეს, უზენაესმა საბჭომ ამავე წლის 31 მარტის რეფერენდუმის საფუძველზე, დამოუკიდებლობის აღდგენის აქტი მიიღო.

[2] 2024 წლის 26 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნების სავარაუდო მასშტაბური გაყალბებისა და 28 ნოემბერს „ქართული ოცნების" პრემიერ-მინისტრის, ირაკლი კობახიძის განცხადების შემდეგ, რომ საქართველოს ხელისუფლება უარს ამბობს 2028 წლის ბოლომდე ევროკავშირთან მოლაპარაკების გახსნაზე, საქართველოში მასშტაბური, უწყვეტი და ყოველდღიური დემონსტრაციები დაიწყო. ეს აქციები გასცდა ევროინტეგრაციისა და ახალი არჩევნების მოთხოვნის მიზნებს და თავისუფლების, დემოკრატიისა და სამართლიანობისათვის ბრძოლის სამოქალაქო მოძრაობაში გადაიზარდა.

რუსთაველის გამზირზე უცხოურმა ძალამ სცადა ძალადობის პროვოცირება და როდესაც ამას ვერ მიაღწია, თავადვე იძალადა. ჩვენ ვერ მივცემთ სიძულვილს დამატებით ენერგიას და ჩვენს ქვეყანას ავარიდებთ უცხოური ძალის მიერ დაგეგმილ, თუნდაც მცირე, პროვოკაციას.“

კობახიძის მსგავსად, 9 აპრილის მოვლენებზე პასუხისმგებელი საბჭოთა არმია არ უხსენებიათ არც „ქართული ოცნების“ პარლამენტის თავმჯდომარეს და არც „ქართული ოცნების“ პრეზიდენტს. პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილე ნინო წილოსანმა კი, საბჭოთა რეჟიმის მსხვერპლებს **„ტრაგიკულად გარდაცვლილი“** ადამიანები უწოდა.

ამის ნაცვლად, „ქართული ოცნების“ განცხადებების მთავარი სამიზნე 9 აპრილის მემორიალთან გამართული აქცია, „უღმერთო“ და „უსამშობლო“ მონაწილეები და უცხოელი „დონორები“ იყვნენ.

> შალვა პაპუაშვილი, „ქართული ოცნების“ პარლამენტის თავმჯდომარე, 11 აპრილი: *„ორი დღე გავიდა, რაც რამდენიმე ენჯეომ ამაზრზენი ძალადობის აქტი ჩაიდინა რუსთაველის გამზირზე. ზიზღით ალესილი ენით შეიარაღებული თანამედროვე როდიონოვები მემორიალთან გადაელობნენ 9 აპრილის მონაწილეებს; მათ, ვისაც ამ დღეს დაღუპულებისთვის პატივის მიგება სურდა. მეორე დღეა, რაც ამ ენჯეოების დონორებმა ფეხქვეშ გაგვითელეს ჩვენთვის ერთ-ერთი ყველაზე საკრალური დღე. მეორე დღეა ისინი პასუხის, დაგმობის, გამიჯვნის ღირსადაც არ თვლიან საქართველოს საზოგადოებას და მათ ვისაც რუსთაველის გამზირზე თავს დაესხნენ“.*
>
> დავით მათიკაშვილი, საპროცედურო საკითხთა და წესების საპარლამენტო კომიტეტის თავმჯდომარე, 9 აპრილი: *„რა თქმა უნდა ყველაფერს თავისი სახელი ერქვა მაშინაც და დღესაც. ეს უცხო გარე ძალა მაშინ რომ იყო საბჭოთა ტანკები, „სიესით“ და ნიჩბებით შეიარაღებული სპეცრაზმელები, დღეს უცხო ძალა არის „დიფ სთეითი“, ამ მოღალატე და უსამშობლო ადამიანების, რადიკალების, საკუთარი თავის რუსად მონათლული ე.წ. პოლიტიკოსების ხელით, პაატა ბურჭულაძეს ვგულისხმობ, ცდილობს ჩვენი ქვეყნის კვლავ დაქსაქსვას, დაყოფას და შეტევას ჩვენი ქვეყნის სუვერენიტეტზე, ეს არის უცხო ძალა. საიდან რას იგონებენ და როგორ ცდილობენ ეს საკუთარი ამორალურობა, უსამშობლობა და უღმერთობა გაამართლონ იმით, თუნდაც რაც დღეს რუსთაველზე ჩაიდინეს.*
>
> კონსტანტინე ზარნაძე, თბილისის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარის მოადგილე, 9 აპრილი: *„მარტო ვარ ამდენ ადამიანთან, ერთი წამით არ მეშინია. ესენი არიან უღმერთო ადამიანები, რომლებმაც არ მომცეს უფლება, რომ მივსულიყავი მემორიალთან“.*

1.2.2. ვიზალიბერალიზაცია

15 აპრილს „რადიო თავისუფლებამ“ გაავრცელა ინფორმაცია, რომ ევროკავშირი აპირებს გაამარტივოს უვიზო მიმოსვლის გაუქმება იმ 61 ქვეყნის მოქალაქეებისთვის, რომლებიც ამჟამად სარგებლობენ ამ პრივილეგიით. შეჩერების ერთ-ერთი საფუძველი შეიძლება გახდეს „ადამიანის უფლებების სერიოზული დარღვევები“ ან „საერთაშორისო სამართლისა და სტანდარტების სერიოზული დარღვევის შემთხვევა“. უვიზო რეჟიმის სავარაუდო შეჩერების ვერსიას გამოეხმაურნენ ქართული ოცნების ლიდერები, მათი აზრით, ის არ შეიძლება შეეხოს საქართველოს, ამავდროულად მიუთითებდნენ, რომ სავიზო ლიბერალიზაციის შეჩერება შესაძლოა ევროკავშირმა „შანტაჟის“, ხოლო „დიფ სთეითმა“ „ზეწოლის ბერკეტად“ გამოიყენოს. სამთავრობო, პროპაგანდისტულმა ტელეკომპანია „იმედმა“ კი სპეციალური სიუჟეტი მიუძღვნა ამ თემას. ჟურნალისტი სავიზო რეჟიმს მოიხსენიებდა, როგორც „გარედან მართვის მცდელობის ბერკეტს“ და „შანტაჟის პოლიტიკას ბრიუსელიდან“.

„ქართულმა ოცნებამ“ და მისმა სატელიტებმა ვიზალიბერალიზაციის შეჩერების პოტენციური საფრთხის საკითხი გამოიყენეს ანტიდასავლური გზავნილების გასავრცელებლად - უწოდეს მას „რამდენიმე ევროდეპუტატის პწკენა“ და ვიზელიბერალიზაცია, როგორც საზოგადოებრივი სიკეთე, ეროვნულ სუვერენიტეტსა და სახელმწიფო ინტერესებთან დიქოტომიურ კონტექსტში განიხილეს.

> სოზარ სუბარი, „ქართული ოცნების“ პარლამენტის ვიცე-სპიკერი, „ხალხის ძალის“ თავმჯდომარე, საპარლამენტო საგამოძიებო კომისიის წევრი, 17 აპრილი: *„რა თქმა უნდა, შესაძლებელია, რომ „დიფ სთეითმა“ ზეწოლის ბერკეტად ვიზალიბერალიზაციის შეჩერებაც გამოიყენოს. თუ არჩევანს ასე დაგვიყენებენ, რომ ან სრულად დათმეთ* ***ეროვნული სუვერენიტეტი****, ხელისუფლებაში „ნაციონალური მოძრაობა“ და სხვა აგენტურა დააბრუნეთ და* ***ლგბტ დიქტატურასთან*** *დაკავშირებული კანონმდებლობა მიიღეთო, ხოლო თუ ამას არ იზამთ, მაშინ ვიზალიბერალიზაციას შეგიჩერებთო, არჩევანი ძალიან მარტივია. ნამდვილად არ მაქვს ისეთი ცუდი წარმოდგენა ქართველ ხალხზე, რომ მისთვის ვიზალიბერალიზაცია უფრო მნიშვნელოვანი იყოს, ვიდრე იმ* ***ანტიეროვნულ და ანტიქრისტიანულ*** *პოლიტიკაზე უარის თქმა, რომლის ჩვენთვის თავსმოხვევასაც „დიფ სთეითი“ ცდილობს.*

> კახა კალაძე, თბილისის მერი, 22 აპრილი *„[...]* ***ვიზალიბერალიზაცია კი არა, საქართველოს ინტერესია მთავარი****, ჩვენი ქვეყნის დამოუკიდებლობა და სუვერენიტეტი. დღეს, დარწმუნებული ვარ, ყველა ქართველი, ამ ქვეყანაში დაბადებული ადამიანი, რომელსაც თავისი ქვეყანა უყვარს და პატრიოტია ამაყობს, რომ ვერავინ ბედავს საქართველოს ხელისუფლებას და ჩვენ ქვეყანას მისცეს*

მითითებები. მბრძანებლური ტონი, რომელიც იყო წლების განმავლობაში, ასე საუბარს ველარ ახერხებენ, სწორედ ამას ებრძვიან და ამიტომ არიან გაგიჟებულები".

შალვა პაპუაშვილი, „ქართული ოცნების" პარლამენტის თავმჯდომარე, 26 აპრილი, *„საქართველოს მოსახლეობას არაფერი ემუქრება. ვიზალიბერალიზაცია არ გაუქმდება. ეს არის ქართველ ხალხზე გაბრაზებული რამდენიმე* ***ევროდეპუტატის პწკენა****".*

1.2.3. არასამთავრობო სექტორის დაფინანსება

„ქართული ოცნება" არასამთავრობო სექტორის დისკრედიტაციისთვის კვლავ მანიპულაციურად იყენებს „მართლმადიდებელი ეკლესიის" სახელს. პროპაგანდისთვის მათი მთავარი გზავნილია, რომ არსებობს „უცხო გარე ძალა" და „ევროპული დაფინანსება", რომელიც საქართველოში დამოუკიდებლობას, ეკლესიას, ტრადიციებს და ღირებულებებს ებრძვის. ეს საქმიანობა ხორციელდება არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ, რომლებიც „პოლიტიკური ინტერვენციის ინსტრუმენტად" განიხილებიან. „ქართული ოცნების" დაუსაბუთებელი განცხადებით, წარსულში USAID-ის, NED-ის, და დღემდე ევროკავშირის მიერ გამოყოფილი დახმარება საქართველოში **რადიკალიზმის, ფაშიზმის, ტერორის დაფინანსებას და ანტიეკლესიურ საქმეს ხმარდება.**

შალვა პაპუაშვილი, „ქართული ოცნების" პარლამენტის თავმჯდომარე, 10 აპრილი: *"სამწუხაროა რომ დღეს დღეისობით, სიძულვილი, ზიზღი, ძალადობა, ტყუილი, დეზინფორმაცია, პროპაგანდა ასოცირებული არის ევროპულ დაფინანსებასთან. ... აი ამ ფაშიზმს როდესაც არ ემიჯნებიან და არათუ ემიჯნებიან, არამედ* ***აფინანსებენ ფაშიზმს, ტერორს, თავდასხმას, სიძულვილს, პროპაგანდას, დეზინფორმაციას,*** *რა თქმა უნდა* ***ეს არის სწორედ დონორების პასუხისმგებლობა.*** *რაც პირდაპირ ხორციელდება პირდაპირ არასამთავრობო ორგანიზაციების ორგანიზებით და უცხო, გარე ძალებიდან წაქეზებით".*

შალვა პაპუაშვილი, „ქართული ოცნების" პარლამენტის თავმჯდომარე, 4 აპრილი: *„ყველაფერს, რაც ჩვენ ვთქვით, ფაქტობრივად, სიტყვა-სიტყვით იმეორებს ამერიკის ახალი ადმინისტრაცია. დასკვნა მარტივია, რომ ურთიერთობა ამერიკის შეერთებულ შტატებს და საქართველოს შორის გაუარესდა ზუსტად იმის გამო, რომ ორგანიზაციები, როგორიცაა USAID, NED, სხვადასხვა პროპაგანდისტული თუ ფულის მხარჯველი ორგანიზაციები, დაკავებული იყვნენ საქართველოში დემოკრატიისთვის ძირის გამოთხრით, საქართველოს საზოგადოებაში ჯგუფების ერთმანეთზე წაკიდებით და შუღლის ჩამოგდებით და საზოგადოების ქსოვილის მოშლით,* ***ეკლესიაზე თავდასხმით***

და ამით საზოგადოების გახლეჩით, ტრადიციულ ღირებულებებზე თავდასხმის დაფინანსებით და ამით საზოგადოების გათიშვით".

ირაკლი კობახიძე, „ქართული ოცნების" პრემიერ მინისტრი, 16 აპრილი: *„ჩვენც იმედი გვაქვს, რაღაც მომენტში, როგორც ამერიკაში მოხდა, აშშ-ში მანამდე იყო რადიკალურად განსხვავებული მიდგომები USAID, NED, რევოლუციების დაფნანსება, სისხლიანი რევოლუციები, ომის მხარდაჭერა, ლგბტ პროპაგანდა, ყველაფერი უბედურება უცბად შეიცვალა, ჩვენც ამის იმედი გვაქვს... ეროვნული იდენტობა, პიროვნული იდენტობა, ლგბტ პროპაგანდა, რაღაც მომენტში ეს ევროპულ საზოგადოებას ყელში ამოუვა... **ენჯეო არის პოლიტიუკური ინტერვეციის ინსტრუმენტი".***

მამუკა მდინარაძე, „ქართული ოცნების" საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერი, ფრაქცია „ქართული ოცნების" თავმჯდომარე, 24 აპრილი: *„...საიდან მოიტანეთ ახლა ეს გოიმობა, გოიმი რომ აქეთ გელაპარაკება გოიმობაზე, რომ აი ქალი ქალია და კაცი კაცია და გოიმობა რატოა ეს იცით, იმიტომ რომ ეს ლიბერალური, ფსევდოლიბერალური ვიღაც გადმონაშთები, რაღაც დიდი ფულით დაფინანსებულები, ამისთვის, ამ მიმართულებით, იქ ხო ბევრი მიმართულებით, ეროვნულზე ურტყამს, ტრადიციულზე ურტყამს, იდენტობაზე ურტამს და ეს არის სამიზნეები".*

2. მართლმადიდებელი სასულიერო პირების ძალადობის დამგმობი და დემონსტრანტების მხარდამჭერი განცხადებები

დადებითი ტენდენცია საანგარიშო პერიოდშიც შენარჩუნდა და საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის სასულიერო პირების ნაწილი კვლავინდებურად კრიტიკულად ეხმაურებოდა „ქართული ოცნების“ ანტიევროპულ კურსს და პროპაგანდისტულ განცხადებებს.

2.1. 9 აპრილი: „ვინც მტერს სახელს არ არქმევს, მტერზე უარესია!“

9 აპრილის მოვლენებთან დაკავშირებით, „ქართული ოცნების“ პრემიერ-მინისტრის, ირაკლი კობახიძის განცხადებას, რომ *„უცხოურმა ძალამ განახორციელა ძალადობა ჩვენი თანამოქალაქეების წინააღმდეგ“* და პარალელს, რომ 2025 წლის 9 აპრილის პროდასავლური აქციაც, 1989 წლის 9 აპრილის მოვლენების მსგავსად, „უცხო ძალის“ ძალადობაა, კრიტიკულად გამოეხმაურა სასულიერო პირების ნაწილი. მართლმადიდებელმა სასულიერო პირებმა აღნიშნეს, რომ ხელისუფლების კურსი პრორუსულია და დღესაც რუსთაველის გამზირზე, „კრემლი ძალადობს თანამოქალაქეებზე“.

> ზაზა ეჯიბიშვილი, არქიმანდრიტი, 9 აპრილი (პირადი ფეისბუქ გვერდი): *„ვინც მტერს სახელს არ არქმევს, მტერზე უარესია!“*
>
> ილია ჯინჯოლავა, არქიმანდრიტი, 9 აპრილი (პირადი ფეისბუქ გვერდი): *„სისტემა მახინჯია არა მხოლოდ თავისი სტრუქტურით, არამედ, უპირველესად, შინაგანი ბუნებით. იგი მაამებლურია, ფუჭი გარეგნულობითაა მოცული და არ მალავს თავის ნამდვილ, ღია რუსულ ხასიათს — მტრულს, და მონების მოყვარეს, ბოროტის გამტარს. ეს სისტემა, მიუხედავად ქართული სახელწოდებებისა და ლოზუნგებისა, წარმოადგენს პირდაპირ საფრთხეს ეროვნულ თვითშეგნებასა და თავისუფლების სულისთვის“.*
>
> თამაზ ლომიძე, დეკანოზი, 9 აპრილი (პირადი ფეისბუქ გვერდი): *„9 აპრილი არის დღე, როდესაც რუსეთმა განახორციელა ძალადობა ჩვენი თანამოქალაქეების წინააღმდეგ. …დღეს, 9 აპრილის ტრაგედიიდან 36 წლის თავზე, კვლავაც რუსეთი და კრემლი ძალადობს რუსთაველის გამზირზე. დღესაც, რუსთაველის გამზირზე რუსეთი*

აღვივებს სიძულვილს, ცდილობს ხელოვნურად დაარღვიოს ერთიანობა ქართველებს შორის და ებრძვის თავისუფლების იდეას“.

ლეონ გელოვანი, მღვდელი, 9 აპრილი (პირადი ფეისბუქ გვერდი): *„უცხოური ძალა კი არა, რუსეთი და მხოლოდ რუსეთია ის ძალა, რომელიც უკანასკნელი საუკუნეებია არის ბოროტების, სიბნელისა და ყოველგვარი ცუდის მომტანი საქართველოსთვის. …დღესაც, რუსეთის ყოველი მოყვარე, ასევე ყოველი, შეგნებით თუ შეუგნებლად მისი საქმის გამკეთებელი, მონაწილეა ყველა იმ სისხლისღვრის, რომელიც ამ ბოროტების ხელით მოხდა ჩვენს ქვეყანაში“.*

დოროთე ყურაშვილი, არქიმანდრიტი, 16 აპრილი: „ყველას *აქვს ასეთი განცდა, რომ ჩვენი ხელისუფლება მიდის რუსეთისკენ. მაგრამ ამას არ ამბობენ, რადგან იციან, რომ იქითკენ წასვლა - მიდიან - მაგრამ არ არის სწორი. იძახიან, რომ „მივდივართ ევროპისკენ, მიუხედავად იმისა, რომ ევროკავშირთან მოლაპარაკებები შევწყვიტეთ“. მე ვფიქრობ, რომ ეს პრობლემა დგას მთავრობის წინაშე და მათ სათქმელი ექნებათ, რომ „ჩვენ არ გვინდა ევროპა, ჩვენ გვინდა რუსეთი“.*

ილია თოლორაია, სამების საკათედრო ტაძრის არქიმანდრიტი, 13 აპრილი: *„დღეს გასაკვირი ის არის, რომ საქართველოში გმირობად იქცა ამის თქმა, რომ რუსეთი მტერია და ომი დაგვიწყო 200 წლის წინ, დღემდე, ამ წუთამდე გვებრძვის და აგერ, მისი ჯარი სად დგას. მასზე რომ ვერ ამბობენ, მტერია და ეშმაკურად რაღაცებს ცდილობენ, გამოიყვანონ, თითქოს რუსეთი ჩვენი მტერი არ არის, ესეც ცალკე უბედურებაა“.*

დოროთე ყურაშვილი, არქიმანდრიტი, 16 აპრილი: *„ჩვენ მართლმადიდებელი ქრისტიანები ასე ვთვლით, სუვერენული მართლმადიდებლობა არ არსებობს. ასე ითქმის - მართლმადიდებელი ეკლესია საქართველოში, მაგრამ ეს მართლმადიდებელი ეკლესია საქართველოში რომ მართლმადიდებელია, უნდა აღიაროს სხვა მართლმადიდებლებმაც. ჩვენ სუვერენული ვართ მარტო მართვაში და არა სწავლებაში... დემოკრატია ზუსტად ასეა აწყობილი“.*

2.2. გამოხმაურება გიორგი ანწუხელიძის გმირობის დაკნინების მცდელობაზე[3]

11 აპრილს, საზოგადოებრივი მაუწყებლის ეთერში ნაციონალური მოძრაობის საქმიანობის შემსწავლელი დროებითი საგამოძიებო კომისიის თავმჯდომარემ და ქართული ოცნების პარლამენტის ვიცე-სპიკერმა, თეა წულუკიანმა განაცხადა, რომ საქართველოს ეროვნული გმირი, გიორგი ანწუხელიძე, პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის „უაზრო პიარისთვის გაიწირა“, *„ყველა ბავშვს სჭირდება თავისი მშობელი სახლში და არა უაზროდ განწირული ვიღაცის პიარისთვის … ამ შემთხვევაში სააკაშვილს ვგულისხმობ“.* გიორგი ანწუხელიძის გმირობის დაკნინების მცდელობას ასევე კრიტიკული გამოხმაურება მოჰყვა მართლმადიდებელი სასულიერო პირების ნაწილის მხრიდან.

> ლეონ გელოვანი, მღვდელი, 12 აპრილი (პირადი ფეისბუქ გვერდი): *„გიორგი ანწუხელიძე წინ აღუდგა ქვეყნისა და ქრისტიანობის მტერ იმპერიას, წინ აღუდგა ბოროტებასა და ძალადობას, სიცოცხლე გასწირა სხვა ადამიანებისათვის, ამიტომ მისთვის გარდაცვალება და არა სიკვდილი, ნამდვილად იყო ზეცაში დაბადება, მარადიულ სიცოცხლეში დაბადება, იმ ადამიანებისგან განსხვავებით, რომლებიც დღეს მის წამებას უაზროს უწოდებენ და ამით იგეგმავენ მარადიულ სიკვდილს!“*
>
> დოროთე ყურაშვილი, არქიმანდრიტი, 16 აპრილი: *„ესენი რას ამბობენ, რომ „აი, ანწუხელიძე უაზრო მსხვერპლია“. ამით რას ეუბნებიან ჯარისკაცს? რომ „ჩვენ თუ ბრძოლას მოგიწოდებთ, ჯერ დასხედით, განიხილეთ რამდენად სწორად, ჩვენი ბრალია თუ არა მტერი რომ შემოვიდა“. ეს ანწუხელიძემ როგორ უნდა გაარკვიოს, მიშას ბრალია რუსეთის შემოსვლა თუ რუსეთის ბრალი. მით უმეტეს, ანწუხელიძემ იცის, რომ საკუთარ ქვეყანაში ომს არ იწყებენ, ის არ გადასულა სხვა ქვეყანაში, საკუთარ ქვეყანაში იდგა. რომელი ერი არ ისურვებდა, რომ ანწუხელიძე მისი ერის შვილი ყოფილიყო. რომელი ერი არ იამაყებდა ანწუხელიძით. და ჩვენ, ერი ვამაყობთ, მაგრამ მთავრობა რას აკეთებს?“*

20 აპრილს ფოთისა და ხობის მიტროპოლიტმა, გრიგოლ ბერბიჭაშვილმა სააღდგომო გზავნილი გაავრცელა პირად ფეისბუქ გვერდზე, სადაც მან რამდენიმე საკვანძო სახელმწიფოებრივ, სოციალურ და სარწმუნოებრივ საკითხზე გაამახვილა ყურადღება, მათ შორის, გიორგი ანწუხელიძის გმირობის დაკნინების მცდელობაზე ქრისტიანული პერსპექტივიდან ისაუბრა:

> *„საქართველოში ისტორიულად არსებული მართლმადიდებლობის ერთ-ერთი მთავარი საყრდენი ქრისტიანობისთვის და სამშობლოსთვის წამებულთა*

[3] გიორგი ანწუხელიძე მეოთხე ქვეით ბრიგადაში მსახურობდა. ის 2008 წლის აგვისტოს ომს დროს, 23 წლის ასაკში, ტყვედ ჩავარდა და სასტიკი წამების შემდეგ, ოსმა სეპარატისტებმა ცემით მოკლეს.

მოწამეობრივი ცხოვრების წესია, რომელსაც განადიდებს საქართველოს სამოციქულო ეკლესია. აქედან გამომდინარე, სრულიად მიუღებელია სამშობლოსა და ქრისტიანობისთვის თავდადებული მამულიშვილების ღვაწლის დაკნინება/დამცრობა, მათი გმირული ცხოვრების გაფერმკრთალების ყოველგვარი მცდელობა, რაც საზოგადოების დაბნეულობას და მისი დიდი ნაწილის საფუძვლიან უკმაყოფილებას იწვევს. სამშობლოსთვის თავდადებულ მამულიშვილთა მოწამეობრივი ცხოვრება და ღვაწლი ჩვენი ერისა და დედაეკლესიის დიდი სულიერი მემკვიდრეობაა, რომელსაც ჩვენი ეკლესია სავსებით სამართლიანად განადიდებს".

მიტროპოლიტის თქმით, სახელმწიფოებრივი ინტერესები საფრთხის ქვეშაა, რაც საფრთხეს უქმნის „თვით ქრისტეს ეკლესიის ისტორიულ მისიასაც საქართველოში". მისი თქმით, სხვადასხვა სახელმწიფოში, განსაკუთრებით კი რუსეთში, წარმოშობილი „პოლიტიკური რადიკალიზმი", რომელიც უგულებელყოფს მცირერიცხოვანი ერების უფლებებსა და დამოუკიდებელი არსებობის ყოველგვარი ფორმას, ეწინააღმდეგება ქრისტიანულ რწმენას. მისი თქმით, „*მართლმადიდებლური რწმენა ქრისტეს ეკლესიაში ერთმანეთთან აერთიანებს თავისუფლების სიყვარულს და სხვათა აზრის პატივისცემას".* ისტორიული გამოცდილების საფუძველზე, მიტროპოლიტმა ასევე ისაუბრა რელიგიური თემატიკის მისაკუთრებისა და მანიპულაციის საფრთხეზე, რელიგიური სივრცის პოლიტიკურ ოკუპირებასა და მის ზიანზე საზოგადოებისა და ეკლესიისთვის.

3. მართლმადიდებელი სასულიერო პირების ნაწილის პროპაგანდისტული, ანტიდასავლური განცხადებები

მართლმადიდებელი ეკლესიის სასულიერო პირების ნაწილი ქადაგებებსა და საჯარო გამოსვლებში აგრძელებდა, როგორც ხელისუფლების მხარდამჭერ, ისე სამოქალაქო საზოგადოების, ადამიანის უფლებების და ევროკავშირის საწინააღმდეგო რიტორიკას.

ბოდბის მთავარეპისკოპოსის იაკობ იაკობაშვილის 7, 13, 19, და 27 აპრილის ქადაგებები ანტიდასავლურ გზავნილებსა და „ქართული ოცნების“ ოპონენტების დისკრედიტაციას ეფუძნება:

გზავნილი: „დასავლეთი საქართველოს შიდა საქმეებში ერევა, რაც რუსული აგრესიისგან არ განსხვავდება“

*„გადავხედოთ როგორც იქცევა თუნდაც ევროპარლამენტი. რაღაც სიტყვა მოიგონეს, რუსული ევროპარლამენტი, მაგრამ აბა სხვა რა არის, **რით განსხვავდება რუსების აგრესიისგან ჩვენდამი.** …ისევე როგორც შაჰ-აბასის დროს, ირანელები როგორ გვექცეოდნენ, მონღოლების დროს როგორ ვიყავით, ასევე სხვა დამპყრობლები. ბოლო 200 წელიწადზე მეტია რუსების უღელქვეშ ვართ და არ გვაცლიან ეს ვითომ ევროპელები, რომ წესიერად ვიცხოვროთ. რა იმათი საქმეა ჩვენს ქვეყანაში როგორ ვიცხოვრებთ, გული შესტკივათ? აბა რაში შესტკივათ გული, ქართველი ხალხის სახელით რომ მელაპარაკებით, ჩვენ ხალხზე დიდი ვართ, ჩვენ ქართველი ერი ვართ“. (იაკობ იაკობაშვილი, 7 აპრილის ქადაგება).*

„ვინც უცხოეთის პარლამენტში დადის და ქვეყანაზე ცუდს ლაპარაკობს არის გამყიდველი და სჩადის ბოროტებას“

„ნუ გავხდებით ჩვენი ქვეყნის გამყიდველები. დღეს ვინც უცხოეთის პარლამენტებში დადის, ქვეყნის მთავრობებთან დადის და თავის ქვეყანაზე ცუდს ლაპარაკობს, ამას შედეგი რა მოაქვს? - სანქციები, სანქციები და სანქციები. მერე ვის ხვდება ეს სანქციები? - თქვენს შვილებს და [ქვეყანა] აღარ ვითარება. ესე იგი სიკეთისთვის კეთდება ეს, თუ ბოროტებისთვის? საბოლოო ჯამში ამას შედეგად ბოროტება აქვს“.

ჭყონდიდის, **ცაგერისა და ლენტეხის მიტროპოლიტი სტეფანე კალაიჯიშვილი** წინა ქადაგებების მსგავსად 6, 9, 12, 16 და 22 აპრილის ქადაგებებისას აგრძელებდა ანტიდასავლურ და „ქართული ოცნების“ რიტორიკის თანმხვედრ განცხადებებს:

ანტიდასავლური გზავნილი: „ვიზალიბერალიზაციის გაუქმება პრობლემა არ არის“

„თითებს გვიქნევენ იქიდან რომ ვიზალიბერალიზაციას გავაუქმებთ, ახლა ვიზალიბერალიზაცია სასუფევლისკენ უნდა მოიპოვო შენ. ის წესები უნდა დაიცვა, რომლითაც სასუფეველში უნდა მოხვდე, თორე ის სადღაც რომელიმე ქვეყანაში თუ ვერ შეხვალ ეგ არაფერი პრობლემა არაა“.(სტეფანე კალაიჯიშვილი, 22 აპრილის ქადაგება).

პროდასავლური აქციების დისკრედიტაცია - „დემონსტრანტები არიან მოსყიდული ხალხი“

„ვნების კვირეულია და ამ დროს ვიღაცეები ატყუდებენ ხალხს, რომ ქუჩაში უნდა ვიდგეთ, ეუბნებიან ხალხს, რომ სიმართლეს იცავთ, არ არის ეს სიმართლე … ევროკავშირში შესვლაა ჭეშმარიტება? მორწმუნე ადამიანი ქუჩაში იდგე და ამ დროს არ იყოს ტაძარში მე არ მესმის, საქართველოს თავისუფლებას ამით ვერ მოიპოვებს ვერავინ. ვინც ჩართულია ამაში არის მოსყიდული ხალხი. არ გვინდა სკოლაში ისწავლებოდეს გეი პროპაგანდა და ვერ გავიგოთ ვინ რა სქესისაა“. (სტეფანე კალაიჯიშვილი, 16 აპრილის ქადაგება).

არქიმანდრიტ დოროთე ყურაშვილის ქადაგებების დამგმობი და ანტიდასვლური განცხადება

„სახარებას რომ იყენებ იმისათვის, რომ დანაშაული გაამართლო, ეს არის დანაშაული ღვთის წინაშე, ესენი არიან ერეტიკოსები ანუ „მწვალებლები“, ისევ ისმის ანტიდასავლური გზავნილები “ვთქვათ ევროკავშირი გვინდა მაგრამ ნახეთ ევროკავშირი რას გვეუბნება? თქვენ რომ მიიღეთ კანონი, ოჯახის დაცვის კანონი გააუქმეთო. ჩვენ დოროთე გვეუბნება, რომ რადგან ჩვენ გვინდა დასავლეთი ეს ყველაფერი უნდა შევჭამოთ. ჩვენ ქვეყანა უნდა შევითრიოთ სოდომ გომორში? და ეს არის დოროთეს სიმართლე?“ (სტეფანე კალაიჯიშვილი, 6 აპრილის ქადაგება).

ანტიდასავლურ განცხადებებს ავრცელებდა **სხალთის ეპარქიის ეპისკოპოსი სპირიდონ აბულაძე** 13 აპრილის ქადაგებისას, სადაც „კოლექტიური დასავლეთი“ სატანისტებად მოიხსენია.

„[...] მე მივმართავ იმ ხალხს, რომელიც სამღვდელოებას ზერელედ იხსენიებს, პატარ-პატარა ტიკ-ტოკს იღებს და დასცინის სამღვდელოებას, სატანისტების დავალებით მოქმედებს და მაგაში ფულს იღებს იმ კოლექტიური დასავლეთისგან, იმიტომ, რომ იქ არის ეს ასე, ისინი ამას უკეთებენ უკრაინას, საბერძნეთს და ა.შ.“ (სპირიდონ აბულაძე, 13 აპრილის ქადაგება).